PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

ხელშეკრულება № 18/07-13-4
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON130000006)

ქ. თბილისი 18 ივლისი, 2013წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია შემდგომში -„შემსყიდველი", წარმოდგენილი კომისიის თავმჯდომარის კარლო კვიტაიშვილის სახით და **მეორეს მხრივ, ს/ს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია,** შემდგომში - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვასილ ხორავას სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20² მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 დეკემბრის N2025 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის" მიერ საწვავის შესყიდვა ეტაპობრივად 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. (CPV 09100000)
2.2. საწვავის შეძენა განხორციელდება საწვავის ტალონებით ან/და პლასტიკური ბარათების საშუალებით, მხოლოდ იმ ავტომობილებისთვის და იმ რაოდენობით რაც მითითებულია ხელშეკრულების დანართში (დანართი N2 ლიმიტები და ავტომანქანების მონაცემები გავრცელდება მხოლოდ პლასტიკური ბარათების გამოყენების შემთხვევაში). ხოლო საწვავის მიღება განხორციელდება მხოლოდ ხელშეკრულების დანართით (ავტოგასამართი სადგურების სია დანართი N3) განსაზღვრულ ავტოგასამართ სადგურებზე.
2.3 საწვავის ტალონებით, პლასტიკური ბარათებით და ადგილზე მიწოდების პირობები და წესი მოცემულია ხელშეკრულების დანართში (დანართი #4).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს **2 850** (ორი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარს.
3.2. საწვავის რაოდენობა, სახეობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს (მათ შორის ტრანსპორტირების ხარჯებს სითხის მიწოდების შემთხვევაში) მათ შორის დღგ-ს და საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურიდან მის გაცემამდე.

4. საქონლის ფასის დაანგარიშების პირობები

4.1 ტენდერში მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული საბოლოო ფასიდან გამოითვლება „Z" აშშ დოლარში (მიმწოდებლის ნავთობბაზამდე და ავტოგასამართ სადგურებამდე ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z=C/(R*(D/1000)*(100\%+18\%))-P$$

რომელშიც: C - ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 *ლიტრ რეგულარის (რეგულარ ენერჯი) მარკის საწვავზე* (ლარში); R –აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2012 წლის ნოემბრის თვის

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

[illegible]ალო არითმეტიკული; D - გამარჯვებული მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი *რეგულარ[illegible] რეგულარ ენერჯის)* სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ3); 18% - დღგ; P - PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის 2012 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში.

4.2 მიმწოდებლის 1 ლიტრი საწვავის ფასი ყოველი კალენდარული თვისათვის გამოითვლება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$C=R*(P+Z)*(100\%+18\%)*D/1000$$

სადაც: P და R წარმოადგენს წინა კალენდარული თვის შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს, ხოლო Z და D გამარჯვებულ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ სიდიდეებს, რომლებიც უცვლელია 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3 C-ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ R-ის ან/და P-ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს C-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას საწვავის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასთან მიმართებაში. საბარათე სისტემის მეშვეობით შესაბამისი მარკის საწვავის მიწოდებისას, C უნდა იყოს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის მიწოდების კალენდარული თვის განმავლობაში არსებული საშუალო არითმეტიკულ ფასზე მინიმუმ 0.1 ლარით (ათი თეთრი) ნაკლები. არასაბარათე სისტემის მეშვეობით შესაბამისი მარკის საწვავის გატანისას, C უნდა იყოს შესაბამისი მარკის საწვავის გატანის მოთხოვნის დღეს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის არსებულ ფასზე მინიმუმ 0.1 ლარით (ათი თეთრი) ნაკლები.

4.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში არ მოხდა დამატებითი შეთანხმების სახით C-ს ცვლილების ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული შესაბამისი თვის C-ს ოდენობით. C-ს ცვლილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას (შემდგომში - სატენდერო კომისია).

4.5. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს P და R და მათ საფუძველზე გამოთვლილი მიმდინარე თვის მისაწოდებელი *რეგულარის (რეგულარ ენერჯი)* 1 ლიტრის ფასი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს მიმწოდებელის ოფიციალურ ვებგვერდზე.

4.6. მიმწოდებელმა ასევე ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში უნდა მიაწოდოს სატენდერო კომისიას ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი *რეგულარის (რეგულარ ენერჯის)* ყოველდღიური ფასის შესახებ ელექტრონული ფოსტის მისამართზე oil2013@spa.gov.ge

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. *მიმწოდებელი ვალდებულია:*

ა) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს 2013 წლის 01 მარტამდე პლასტიკური ბარათის სისტემის დანერგვა (პლასტიკური ბარათების მოხმარების წესები განისაზღვრება დანართი #4-ით). პლასტიკური ბარათების გაცემის პრიორიტეტულობა შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით განისაზღვრება სატენდერო კომისიის მიერ. პლასტიკური ბარათების დანერგვის შემდეგ, საწვავის ტალონის სახით მიწოდება უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, შემსყიდველის მიერ სატენდერო კომისიის თანხმობის წარდგენის შემთხვევაში.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

გ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

5.2. *მიმწოდებელი უფლებამოსილია:*

ა) შემსყიდველს შეუჩეროს საწვავის მიწოდება, თუ შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადები იქნება დარღვეული.

ბ) უზრუნველყოს საწვავის გაცემა მხოლოდ წინამდებარე ხელშკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

5.3. *შემსყიდველი ვალდებულია:*

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) უზრუნველყოს საწვავის მიღება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი მოახდენს ავტოგასამართი სადგურების ქსელის გაფართოებას, შემსყიდველი უფლებამოსილი იქნება მიიღოს საწვავი ახალ ავტოგასამართ სადგურ(ებ)ზე, რაც არ საჭიროებს დამატებით ცვლილებას წინამდებარე ხელშეკრულებაში.

გ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, სატენდერო კომისიისა და მიმწოდებლის მიერ ერთობლივად შერჩეული უფლებამოსილი ლაბორატორიის მეშვეობით, ყოველკვარტალურად, სატენდერო კომისიის მიერ შერჩეული 3 ავტოგასამართი სადგურიდან უზრუნველყოს საწვავის სინჯის აღება და სატენდერო კომისიასა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული პარამეტრების შემოწმება მათი დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით. სინჯის აღებას უნდა

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

...ებოდეს სატენდერო კომისიისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი პირები, რომელთა თანდასწრებითაც სინ[ჯი] ...აილუქება და გადაეცემა შესაბამის ლაბორატორიას.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
7.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. საბარათე სისტემის მეშვეობით შესაბამისი მარკის საწვავის მიწოდებისას, ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადასტურების შემთხვევაში, ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად მიწოდებული შესაბამისი მარკის საწვავის მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. არასაბარათე სისტემის მეშვეობით შესაბამისი მარკის საწვავის გატანისას, ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადასტურების შემთხვევაში, ანგარიშსწორება მოხდება ერთჯერადად გასატანი შესაბამისი მარკის საწვავის მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.
9.2 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგად მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი რეგულარის (რეგულარ ენერჯი) მარკის საწვავის ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით წინამდებარე ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საწვავის საორიენტაციო მოცულობაზე და გაყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვამდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე.
9.3. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. *წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:*
ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

ებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად და მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობით თუ მეორე მხარე ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუკი აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება.

11.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

11.3. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

14.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

14.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს სატენდერო კომისიის თანხმობით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
მის: ქ.თბილისი, ქ.წამებულის გამზ./ზოჭორმის ქ. 50/18
ს/კოდი: 204953050
ელ.ფოსტა: gsulukhia@gncc.ge rmorgoshia@gncc.ge
ტელ: 2921625; 2399669

კომისიის თავმჯდომარე
კარლო კვიტაიშვილი

მიმწოდებელი:
სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #748
სს „თიბისი ბანკ"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE48TB1100000018467453
ს/კოდი: 202161098

გენერალური დირექტორი
ვასილ ბორავა

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

დანართი №1

2013 წლის 18 ივლისი, № ———

	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	საორიენტაციო რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო საორიენტაციო ღირებულება	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
	რეგულარი (რეგულარ ენერჯი)	(რეგულარი ოქტანობა არანაკლებ 91)	აზერბაიჯანი	1500	1,90	2850	ავტოგასამართი სადგურები თანდართული სიის მიხედვით	18.07.2013-დან 31.12.2013-მდე, ეტაპობრივად (თითოეულ ეტაპზე დასაშვებია არა უმეტეს 3 თვის მოხმარების საწვავის გატანა)

შემსყიდველი:
სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
მის: ქ.თბილისი, ქ.ნამებულის გამზ./ზოჭორმის ქ. 50/18
ს/კოდი: 204953050
ელ.ფოსტა: gsulukhia@gncc.ge rmorgoshia@gncc.ge
ტელ: 2921625; 2389669

კომისიის თავმჯდომარე
კარლო კვიტაიშვილი

მიმწოდებელი:
სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #748
სს „თიბისი ბანკ"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE48TB1100000018467453
ს/კოდი: 202161098

გენერალური დირექტორი
ვასილ ბორავა

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

დანართი N2

ავტომანქანების მონაცემები და საწვავის ლიმიტები

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დაქვემდებარებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების (ბენზინი) წლიური ლიმიტი

#	სატრანსპორტო საშუალებების მარკა სახ.#	საწვავის ერთი თვის ლიმიტი(ბენზინი)	საწვავის წლიური ლიმიტი (ბენზინი)
1.	უაზ ჰანტერი SLS 387	250	1500

შემსყიდველი:
სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
მის: ქ.თბილისი, ქ.წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ს/კოდი: 204953050
ელ.ფოსტა: gsulukhia@gncc.ge / rmorgoshia@gncc.ge
ტელ: 2921625; 2399669

კომისიის თავმჯდომარე
კარლო ჯიტაიშვილი

მიმწოდებელი:
სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #74B
სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE48TB1100000018467453
ს/კოდი: 202161098

გენერალური დირექტორი
ვასილ ბორავა

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

აგს-ების ჩამონათვალი

ს/ს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"

ავტო გასამართი სადგურების მისამართები

24 საათიანი სერვისი

თბილისი:

ვაკე

1. ვაკე- საბურთალოს გზაზე, თამარაშვილის ქუჩის გამყოფი ზოლი

საბურთალო

2. ვაჟა-ფშაველას გამზ. №27, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარედ
3. კოსტავას ქუჩა, ზოოპარკის მიმდებარედ
4. ქავთარაძის ქუჩა №1/4
5. ჯიქიას ქუჩა №2ა
6. მარშალ-გელოვანის გამზირი პოლიციის სამმართველოს მიმდებარედ (არ ხდება სუპერის და ევრო დიზელის მარკის საწვავის რეალიზაცია)
7. მარშალ-გელოვანის გამზირი, სოფელ დიღმის ასახვევი
8. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, "ბაქტერიოფაგი"-ს მიმდებარედ
9. ნუცუბიძისა და გამრეკელის ქუჩების კვეთა
10. ნუცუბიძის ქ. №60

ძველი თბილისი

11. სანაპიროს ქუჩა № 10 (საცურაო აუზის მიმდებარედ)
12. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ყოფილი სასწრაფო დახმარების სადგურის მიმდებარედ
13. მტკვირს მარჯვენა სანაპირო, ბროსესა და ვირსელაძის ქუჩების კვეთის მოპირდაპირედ (არ ხდება სუპერის, ევრო დიზელის და დიზელ ლ 62 მარკის საწვავის რეალიზაცია)

ისანი

14. ჯორჯ ბუშის ქუჩა №64
15. ქ. წამებულის გამზირი №67, რესტორან "სამეფო"-ს მიმდებარედ
16. ქ. წამებულის გამზირი №71-ის მოპირდაპირედ
17. მტკვრის მარცხენა სანაპირო გოგილოს აბანოს მიმდებარედ

დიდუბე

18. თორნიკე ერისთავის ქუჩა №1, მეტრო დიდუბის მიმდებარედ
19. მტკვრის მარცხენა სანაპირო, გამომცემლობა "სამშობლო"-ს მიმდებარედ, ელიავა
20. მტკვრის მარცხენა სანაპირო, მუშთაიდის ბაღის მიმდებარედ
21. დიდუბის ავტოსადგურიდან ქსნის ქუჩისკენ მიმავალ სანაპიროზე (არა ხდება სუპერის მარკის საწვავის რეალიზაცია)

ჩუღურეთი

22. კოსტა ხეთაგუროვის ქუჩა № 40 (ბარათაშვილის ხიდის მიმდებარედ)

დიღომი

23. დავით აღმაშენებლის ხეივანი, დიდი დიღმის გასასვლელი
24. დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-9 კილომეტრი
25. დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კილომეტრი

26. დავით აღმაშენებლის ხეივანი, ახმეტელის და ევგენი მიქელაძის ქუჩებს შორის

ვარკეთილი

27. ჯავახეთის ქუჩა № 64 (არ ხდება სუპერის მარკის საწვავის რეალიზაცია)

სამგორი

28. კაიროსა და ჯავახეთის ქუჩების კადაკვეთა
29. კახეთის გზატკეცილი, ცეკავშირის უნივერსალური ბაზის მიმდებარედ
30. კახეთის გზატკეცილი კოსმონავტების ძეგლის მიმდებარედ

გლდანი

31. შეშელიძის ქუჩა, გლდანის ბაზრობის მოპირდაპირე მხარეს (არ ხდება სუპერის და ევრო დიზელის მარკის საწვავის რეალიზაცია)
32. ფეიქრებისა და სარაჯიშვილის ქუჩების გადაკვეთა
33. ვეკუას ქუჩა №1-ის მიმდებარედ

სანზონა

34. გურამიშვილის გამზირი, ელმავალმშენებელი ქარხნის მოპირდაპირე (არ ხდება სუპერის და ევრო დიზელის მარკის საწვავის რეალიზაცია)

ავჭალა

35. სარაჯიშვილის გამზირი, ღვინის ქარხნის მიმდებარედ

36. ქერჩის ქუჩა, არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებლის მიმდებარედ.

ნაძალადევი

37. ცოტნე დადიანის ქუჩა № 128 (№ 31 სპორტსკოლა "მართვე"-ს მიმდებარედ)

38. ცოტნე დადიანის ქუჩა № 1 მოპირდაპირედ (არ ხდება სუპერის, ევრო დიზელის და ევრო რეგულარის მარკის საწვავის რეალიზაცია)

თემქა

39. ჩარგალისა და ანაპის ქუჩების გადაკვეთა, სამშობიარო სახლი №5-ის მიმდებარედ (არ ხდება სუპერის მარკის საწვავის რეალიზაცია)

მუხიანი

40. მუხიანის დასახლება, გობრონიძის ქუჩა №4

რეგიონები:

აღმოსავლეთ საქართველო

ქვემო ქართლი

1. ქ. რუსთავი, ჟიული შარტავას ქუჩა №4
2. ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქუჩა №17
3. ქ. ბოლნისი, სულხან-საბას და აღმაშენებლის ქუჩების გადაკვეთაზე (არ ხდება სუპერის, პრემიუმის, ევრო რეგულარისა და ევრო დიზელის მარკის საწვავის რეალიზაცია)
4. ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა (ყოფილი № 1 სამხედრო ქალაქის ტერიტორია)

კახეთი

5. ქ. სიღნაღი, ეკა ბეჟანიშვილის ქ.
6. ქ. თელავი, რუსთაველის 120
7. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის ქუჩა
8. ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქუჩა

მცხეთა - მთიანეთი

9. ქ. მცხეთა, ბებრისციხის მიმდებარე ტერიტორია

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

10. ყაზბეგის რაიონი, გუდაური

შიდა ქართლი

11. გორის რაიონი, ცხინვალის გზადაკეცილი № 22
12. ხაშურის გზატკეცილი, სოფელ ოსიაურთან
13. გორი, ტინისხიდი

სამცხე ჯავახეთი

14. ქ. ბორჯომი, დავით აღმაშენებლის გზატკეცილი
15. ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №115
16. ქ. ახალციხე, აბასთუმნის გზატკეცილი (არ ხდება სუპერის მარკის საწვავის რეალიზაცია)
17. ახალციხე, თამარაშვილის ქუჩა № 1.
18. ქ. წალკა, კოსტავას ქ.№13 (არ ხდება სუპერის, ევრო დიზელის და რეგულარ ენერჯის მარკის საწვავის რეალიზაცია)

დასავლეთ საქართველო

იმერეთი

19. ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკისა და საქარხნოს ქუჩების გადაკვეთაზე
20. ქ. ქუთაისი, რუსთაველის 172ა
21. ქ. ქუთაისი, ლ. ასათიანის ქ. №98
22. ქ. ქუთაისი, გამსახურდიასა და კოსტავას ქუჩების კვეთა
23. ქ. ქუთაისი, დავითისა და კონსტანტინეს ქუჩების კვეთა (არ ხდება სუპერის და ევრო დიზელის მარკის საწვავის რეალიზაცია)
24. ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის 30
25. ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა
26. ქ. საჩხერე, სოფელი სხვიტორი, თამარ მეფის 19
27. ბაღდათი – თამარ მეფის 2
28. ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ. 8

სამეგრელო

29. ქ. ფოთი, სამეგრელოს მოედანი
30. ქ. ფოთი, კოკაიას ხეივანი
31. ქ. ფოთი, გეგიძის ქ. 2
32. ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ. №89
33. ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. 168
34. ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. № 328
35. ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. № 167

სვანეთი

36. მესტია – დაბა მესტია, ერეკლე ფარჯიანის 29 (არ ხდება სუპერის, დიზელ ენერჯის და რეგულარ ენერჯის მარკის საწვავის რეალიზაცია)

გურია

37. ქ. ოზურგეთი, წმინდა გიორგის 2
38. ნოხატაური, 9 აპრილის ქუჩის მიმდებარედ
39. ოზურგეთის რაიონი, დაბა ურეკი

აჭარა

40. ქობულეთი, რუსთაველის 26 (სახანძრო-სამაშველო შენობის მიმდებარედ)
41. ქ. ბათუმი, ლეონიძის ქუჩა 4-8
42. ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის ქ. №24
43. ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის ქ. №35ა
44. ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი, რკინიგზის მშენებარე სადგურის მიმდებარე ტერიტორია
45. ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი მეჯინისწყალი
46. ბათუმი, სოფელი ანგისა
47. ბათუმის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია
48. ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. 12
49. ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი კახაბერი

PDF-XChange
Click to buy NOW!
www.tracker-software.com

50. ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. 77
51. ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. ახალიხოფელში
52. რაიონი შუახევი, დაბა შუახევი, გორხანული "კოლოშნარი"

PDF-XChange
Click to buy NOW!
www.tracker-software.com

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

საწვავის მიწოდების პირობები

1. სატალონო სისტემით საწვავის მიწოდება მოხდება შემდეგი წესით:

1.1 შემსყიდველის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის შეკვეთისა და წინამდებარე დანართის 1.5 პუნქტით დადგენილი პროცედურების დაცვით, მიმწოდებელი დაამზადებს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს შემსყიდველს (სპეციალური მინდობილობით აღჭურვილ პირს) შეძენილი საწვავის ტალონებს ლიტრობრივ ერთეულებში (10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით). ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს:

- მიმწოდებლის ლოგო წარწერით „ვისოლი";
- ტალონის ნომერი;
- საწვავის სახეობა;
- საწვავის რაოდენობა.

შემსყიდველისათვის გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) საათის გასვლის შემდეგ. ტალონების დაკარგვის შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი გონივრულ ვადაში სამუშაო საათებში აცნობებს მიმწოდებელს დაკარგვის შესახებ წერილობით და მიუთითებს დაკარგული ტალონების ნომრებს, მიმწოდებელი უზრუნველყოფს აღნიშნული ტალონების დაბლოკვას, მათი შემდგომი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, შემსყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახალი ტალონების ან/და საწვავის გაცემა. დაკარგული ტალონების პოვნის შემთხვევაში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონების აღდგენას (ბლოკირების მოხსნას).

1.2 მიმწოდებელი ვალდებულია ტალონის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა და/ან ჭურჭელი ტალონში აღნიშნული საწვავის ხარისხითა და რაოდენობით. საწვავის გაცემა ხდება ტალონის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე.

1.3 ავტოგასამართ სადგურზე ტალონების წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

1.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

1.5 შემსყიდველის შეკვეთიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში - „ენსაფ") მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავზე. შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ენსაფ"-ის დადასტურება. „ენსაფ"-ის დადასტურების შემდეგ შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცემა მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავის ტალონები (მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ „ენსაფ"-ის დადასტურების დღესვე მოამზადოს ტალონები შემსყიდველისათვის გადასაცემად). მხარეები აღიარებენ, რომ შემსყიდველის მიერ „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან „ენსაფ"-ით გათვალისწინებული საწვავი ითვლება შემსყიდველის მიერ შეძენილად და შემსყიდველს არა აქვს უფლება სადავო გახადოს ამ საწვავის შეძენის ფაქტი, აგრეთვე ზემოთხსენებულ „ენსაფ"-ში დაფიქსირებული საწვავის სახეობა, რაოდენობა, ფასი და სხვა არსებითი პირობები. ამასთან, შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას.

2. პლასტიკური ბარათების სისტემით საწვავის მიწოდება მოხდება შემდეგი წესით:

2.1 შემსყიდველის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის შეკვეთიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მიმწოდებელი თავის ვებ-გვერდზე გაუხსნის შემსყიდველს სპეციალურ ანგარიშს და უზრუნველყოფს შემსყიდველის მიერ შეძენილი საწვავის ჩარიცხვას აღნიშნულ ანგარიშზე. პლასტიკურ ბარათებზე საწვავის შემდგომი განაწილების მიზნით. სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩარიცხვის შემდეგ შემსყიდველს უფლება აქვს ანგარიშზე არსებული ნაშთის ფარგლებში შეუზღუდავად, თავისი შეხედულებისამებრ, მოახდინოს აღნიშნული საწვავის გადანაწილება მის კუთვნილ ერთ ან რამოდენიმე პლასტიკურ ბარათზე ინტერნეტით, მიმწოდებლის ვებ-გვერდის საშუალებით, შემსყიდველის საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის გამოყენებით. ცალკეულ ავტომანქანაზე ლიმიტის დაწესებასა და მის განხორციელებასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მხოლოდ შემსყიდველს.

COMMUNICATIONS COMMISSION 20495050

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

2.2 შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე შეკვეთილი საწვავის ჩარიცხვისას მიმწოდებელსა და შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს შორის ფორმდება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც ფიქსირდება ანგარიშზე ჩარიცხული საწვავის სახეობა, რაოდენობა, ღირებულება და სხვა აუცილებელი ინფორმაცია. სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩარიცხვის შემდეგ საწვავი არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავზე გადაცვლას, ხოლო პლასტიკური ბარათის/ბარათების დაკარგვასთან, დაზიანებასთან ან განადგურებასთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკი გადადის შემსყიდველზე.

2.3 შემსყიდველის პირველად საიდენტიფიკაციო სახელსა და პაროლს მიმწოდებელი მიღება-ჩაბარების აქტით დალუქული კონვერტით გადასცემს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს და ამავდროულად უტარებს შესაბამის ინსტრუქტაჟს საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შეცვლისა და გამოყენების წესების შესახებ. შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშის პირველ გამოყენებამდე და პლასტიკურ ბარათებზე საწვავის გადატანამდე შეცვალოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული პაროლი და შემდგომში გამოიყენოს მხოლოდ მის მიერ შექმნილი ახალი პაროლი. პირველადი საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შემსყიდველის წარმომადგენლისათვის გადაცემისთანავე ყოველგვარი პასუხისმგებლობა და რისკი საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის არასანქციონირებულ გამოყენებაზე, ელექტრონული ანგარიშიდან პლასტიკურ ბარათებზე საწვავის უნებართვო გადატვირთვაზე და სხვა მსგავს შემთხვევებზე, აგრეთვე ამით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებზე, გადადის შემსყიდველზე.

2.4 საწვავის გაცემა მოხდება პლასტიკური ბარათის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია პლასტიკურ ბარათზე კონკრეტული ავტომანქანის სახელმწიფო ნომრის და სერიის გამოსახვა. ასეთი ბარათის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისას, საწვავის ჩასხმა მოხდება მხოლოდ ბარათზე აღნიშნული სახელმწიფო ნომრის და სერიის მქონე ავტომანქანის ავზში, ხოლო ნებისმიერი სახის დამატებით ტევადობებში (ჭურჭელში) ან სხვა ავტომანქანის ავზში საწვავის ჩასხმა არ განხორციელდება.

2.5 პლასტიკური ბარათი ადასტურებს მისი წარმომდგენლის უფლებას ავტოგასამართ სადგურზე მიიღოს ბარათზე ჩატვირთული შესაბამისი საწვავი. პლასტიკური ბარათის დაკარგვის ან/და დაზიანების შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ამის შესახებ მიმწოდებელს, რათა მოხდეს ამ ბარათის ბლოკირება. ამასთანავე, ბლოკირებამდე ბარათების გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე ყველანაირი პასუხისმგებლობა და რისკები ეკისრება მხოლოდ შემსყიდველს.

2.6 შემსყიდველი ვალდებულია პლასტიკური ბარათი შეინახოს მზისგან, ელექტრული და მაგნიტური ველებისაგან (მობილური ტელეფონი, ტრანსფორმატორი, ტელევიზორი და სხვ.) დაცულ ადგილას, ასევე არ მოახდინოს პლასტიკური ბარათის გალუნვა. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბარათის დაზიანებაზე. პლასტიკური ბარათის ფიზიკური დაზიანების ან/და დაკარგვის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს შეიძინოს ახალი ბარათი და ითხოვოს მასზე ბლოკირების შემდეგ არსებული ნაშთების გადატანა. პლასტიკური ბარათის პროგრამულად დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელი უსასყიდლოდ დაუშვებს შემსყიდველს ახალ პლასტიკურ ბარათს.

2.7 ყოველი მომდევნო თვის 7 რიცხვამდე მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში: „ნსაფი") წინა თვეში პლასტიკური ბარათების სისტემით ავტოგასამართი სადგურებიდან ფაქტობრივად გაცემული საწვავის რაოდენობის შესაბამისად.

2.8 მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

3. საწვავის ადგილზე (სითხის სახით) მიწოდება მოხდება შემდეგი წესით:

3.1 საწვავის ადგილზე (სითხის სახით) მიწოდება განხორციელდება მხარეთა შორის შეთანხმებულ მისამართზე ტრანსპორტირების გზით.

3.2 შემსყიდველის შეკვეთიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში - „ენსაფ") მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავზე. შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ენსაფ"-ის დადასტურება არაუგვიანეს მისი ელექტრონულად გამოწერის დღისა, რის შემდეგაც განხორციელდება საწვავის ადგილზე ტრანსპორტირება და შემსყიდველისათვის მიწოდება/გადაცემა. მხარეები აღიარებენ, რომ შემსყიდველის მიერ „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან „ენსაფ"-ით გათვალისწინებული საწვავი ითვლება შემსყიდველის მიერ შეძენილად და შემსყიდველს არა აქვს უფლება სადავო გახადოს ამ საწვავის შეძენის ფაქტი, აგრეთვე ზემოთხსენებულ „ენსაფ"-ში დაფიქსირებული საწვავის სახეობა, რაოდენობა, ფასი და სხვა არსებითი პირობები. ამასთან, შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას.

3.3 იმ შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს 3.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას, მიმწოდებელი უფლებამოსილი იქნება ცალმხრივად გაუქმოს შესაბამისი საწვავის შეკვეთა და მოსთხოვოს შემსყიდველს ახალი მოთხოვნის წარმოდგენა, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მიმწოდებლის მიერ რომელიმე სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევად ან შეუსრულებლობად.

3.4 საწვავის ყოველი მიწოდების შესახებ შემსყიდველი წინასწარ (არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე) აცნობებს მიმწოდებელს და მიუთითებს მისაწოდებელი საწვავის რაოდენობას. საწვავის მიწოდებისთანავე, შემსყიდველისა და მიმწოდებლის

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

უფლებამოსილი წარმომადგენლები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც წარმოადგენს საწვავის გადაცემის დამადასტურებელ დოკუმენტს.

4. შემსყიდველის მხრიდან და მისი სახელით საწვავის მიღებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები:

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ამავე ხელშეკრულების დანართი №4-ის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული საწვავის ტალონების მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი შემსყიდველის მხრიდან და მისი სახელით არის რევაზ მორგოშია 01009005115

4.2 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ამავე ხელშეკრულების დანართი №4-ის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე შეკვეთილი საწვავის ჩარიცხვის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი შემსყიდველის მხრიდან და მისი სახელით არის რევაზ მორგოშია 01009005115 (

4.3 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ამავე ხელშეკრულების დანართი №4-ის 3.4 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე და საწვავის შემსყიდველის მხრიდან და მისი სახელით მიღებაზე უფლებამოსილი პირი არის რევაზ მორგოშია 01009005115

4.4 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მხრიდან და მისი სახელით პლასტიკური ბარათების მიღებაზე სასაქონლო ზედნადების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი არის რევაზ მორგოშია 01009005115

4.5 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ამავე ხელშეკრულების დანართი №4-ის 2.7 პუნქტით გათვალისწინებულ სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ხელმოწერაზე/დადასტურებაზე უფლებამოსილი პირი შემსყიდველის მხრიდან არის რევაზ მორგოშია 01009005115 .

4.6 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების №4-ე დანართის 4.1, 4.2, 4.3, 4.4 და 4.5 პუნქტებში მითითებული შემსყიდველის წარმომადგენლის/წარმოამდგენლების უფლებამოსილება არ შეიძლება გახდეს სადავო შემსყიდველის მხრიდან. შემდგომში ამ პირების უფლებამოსილების გაუქმება ან შეზღუდვა იურუდიულ ძალას შეიძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს წერილობით ეცნობება ამის თაობაზე ან თუ მხარეთა შეთანხმებით შესაბამისი ცვლილება შევა ზემოაღნიშნულ პუნქტებში. სხვა პირისათვის ამ უფლებამოსილების მისანიჭებლად ასევე საჭიროა შესაბამისი წერილობითი მინდობილობა ან მხარეთა შეთანხმება.

შემსყიდველი:

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

მის: ქ.თბილისი, ქ.ნამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18

ს/კოდი: 204953050

ელ.ფოსტა: gsulukhia@gncc.ge rmorgoshia@gncc.ge

ტელ: 2921625; 2399669

კომისიის თავმჯდომარე

კარლო ჯვიტაიშვილი

მიმწოდებელი:

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"

მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #74B

სს „თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ა: GE48TB1100000018467453

ს/კოდი: 202161098

გენერალური დირექტორი

ვასილ ხორავა